

# ბებელი

იუმორისტული  
— ჟურნალი


№ 7

# მეგობრები

ფასი 10 კაპ.

კბიკა, 12 აპრილი

1915 წ.



Цит. Т. Соловьев и Ситкин

—გასწი, მგრანო, „შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი“

# ქართული თეატრი

„Тьмы низкихъ истинъ намъ дороже  
Насъ возвышающій обманъ..“

— მე დიდი ხანია ვიცი, რომ თქვენ, ქართველები, ყველაზე კულტუროსან ეროვნებას წარმოადგენთ კავკასიაში. როგორც ხელოვნების მსახურს, მე ამ უამათ მხოლოდ ქართული თეატრის ავკარგი მაინტერესებს: გთხოვთ, ნუ დიხარებთ და დაწვრილებით ამიხსენით ყოველივე, რაც ამ საგანს შეეხება.

— სიამოვნებით! სიამოვნებით! ჩავილულულე მე და თავში სისხლი ამივარდა:

— რა უნდა ვუთხრა ქართულ თეატრზე ისეთი, რომ თავი არ შევირცხვინო და „კულტუროსანი საქართველო“ არ გავაბახო!..

ჩემი მოსაუბრე პოლონეთის ცნობილი რეჟისორი ფში — ცკი იყო. ომის გამო თავის აოხრებულ სამშობლოდან გადმოხვეწილიყო და მოგზაურობდა. აზრათ ჰქონდა საქართველოს სათეატრო ხელოვნების შესწავლა და; შემდეგ, წიგნის გამოცემასაც აპირებდა.

გოლოვინის პროსპექტზე მოვდიოდით ქვეითად. ის აქეთ იქით იცქირებოდა, ყველაფერი აინტერესებდა და ეუცხოვებოდა, მე კი თავჩალუნული მიყვებოდი და გულში საშინლათ ვწყველიდი იმ ბედს, რომელმაც ამ განსაცდელში ჩამაგდო.

— თქვენ, მგონი, ერთი საუკეთესო თეატრთაგანი დაგეწვათ ამ რამდენიმე თვის წინეთ? ვარშავაში წავიკითხე რომელმაც გახეთში. დაიწყო პოლონელმა.

— დიახ, დიახ, დიახ... როგორ არა! ერთი საუკეთესო თეატრთაგანი დაგეწვია... დიახ დიახ!

— რამდენი თეატრი გაქვთ ეხლა თბილისში?

— თბილისში? თბილისში. ეხლა... თბილისში გვაქვს ჩვენ ეხლა... თუ დამწვარ თეატრს არ ჩავთვლით... ეხლა თბილისში გვაქვს ჩვენ..

სიმწრის ოფლში გავიწურე... მდგომარეობა ისეთი იყო, რომ — იარაღი მქონოდა, იმასაც მოკვლავდი და თავსაც მოვიკლავდი. გაქვივრებამ უცებ აზრი გამინათლა, მომაგონდა ზემოთ მოყვანილი რუსული ლექსი, ზემოთ თავი მაღლა ავწიე და თამამათ ვუბასუხე:

— თბილისში ეხლა მხოლოდ ხუთი თეატრი გვაქვს: სულ რვა იყო, მაგრამ ერთი ამას წინათ დაგვეწვა, ორი სომხებმა წავგართვეს, ასე რომ ხუთილა დავგრჩა.

— ოჰო! ძალიან ბლომით გქონიათ! თუ შეიძლება მაჩვენეთ თქვენი თეატრები.

— სიამოვნებით, მაგრამ ყველას ნახვას ვერ მოვასწრებთ, რადგან ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში გახლავთ... აი, ეს, მაგალითად, შეხედეთ! როგორ მოგწონთ?

ვკითხე მე და სახაზინო თეატრი ვანიშნე.

ჩინებულა! უზარმაზარი თეატრი გქონიათ!.. რატომ მავრიტანულ გემოვნებაზეა აშენებული და არა ქართულზე?

— ჰმ, ჩავიციე მე: განა არ იცით, რომ მთავრობა ნებას არ გვაძლევს ქართულ ხუროთმოძღვრებას მივდიოთ?

— სადრამოა თუ საოპერო ეს თეატრი?

— ეს საოპერო თეატრი გახლავთ.

— ბევრი ოპერა გაქვთ ქართველებს? წარმოიდგინეთ, სრულიად ვერ ვიცნობ ქართულ მუსიკას!

— ასე, ოცდაათი — ოცდახუთმეტი ოპერა გვექნება.

— თუ შეიძლება დღეს, ჩამოძივალეთ უმთავრესი ოპერები და მათი ავტორი კომპოზიტორები:

— სიამოვნებით: „ელგუჯა“, „ელისა“, „მამის მკვლელი“ და სხვ. კომპოზიტორ ყაზბეგის კალამს ეკუთვნის. შემდეგ...

— მოითმინეთ, შემაწყვეტინა ფში — ცკიმ: ჯერ არ ჩამიწერია... ყაზბეგი ახალგაზრდა კომპოზიტორია?

ყაზბეგი ძველი შკოლის კომპოზიტორი გახლავთ, ის დიდი ხანია მოკვდა. ახალგაზრდა კომპოზიტორებში პირველი ადგილი ვარდენ ღვანკიათელს და გიორგი გვაზავას ეკუთვნის..

ამ გვარათ ბარე შვიდი ქართველი კომპოზიტორი ჩამოვუთვალე და ოცამდე ქართული ოპერა დავუბასუხე..

— ძალიან მინდა ქართველ მსახიობთა ნახვა; თუ გზაზე შეგვხვდენ, მანიშნეთ, თუ ღმერთი გწამთ!

მთხოვა ჩემმა მოსაუბრემ, და სწორეთ იმავე წუთში, შორიდან შევამჩნიე, რომ ჩვენკენ მოდიოდა ქართველ მსახიობთა ჯგუფი, რაღაცას ყვიროდენ და ხელებს ძალზე აქნევდენ; ცოტა გადაკრულები უნდა ყოფილიყვნენ. ერთი კვირის გაუპარსავებსა გაედენ და ჩაცმულებიც ისეთნაირად იყვენ. რომ მე თვალი ავარიდე და ჩემს თანამგზავრსაც რომ არ შეემჩნია, რაღაც ლაპარაკი გაუბო. მაგრამ ჩვენი მსახიობები ისეთის ამით მოდიოდენ, რომ მთელი ქუჩა მათ მისჩერებოდა და ფში — ცკიმაც ძალაუნებურათ ყურადღება მიაქცია:

— ვინ არიან ესენი? მკითხა მან და გაკვირვებით დაუწყო ცქერა.

—ესენი? ესენი... სომხის მსახიობები არიან, არზუმიდან გამოქცეულები... ძალიან კულ მდგომარეობაში ჩავარდნ საწყლები! წარბშეუხრელათ ვუპასუხე მე.

—მერე რატომ სომხის ბურჟუაზია არ ეხმარება. სომხები ხომ მდიდარი ხალ...

—აი ჩვენი მსახიობი, აგერ მოდის! სიხარულით წამოვიდახე, და სიტყვა გავაწყვეტინე რადგან ჩვენკენ მომავალი, კონტათ ჩაცმული და ახლად პირგაპარსული გრიგოლ რობაქიძე დაინახე: ჩემი თანამგზავრი შეჩერდა, თვალი გააყოლა გრ. რობაქიძეს და მკითხა:

—ეგ მსახიობი, უეჭველათ, პირველ არშიყთა როლებზე იქნება! ხომ მივხვდი?

—ღიახ, —ვუპასუხე მე—პირველ არშიყთა და ქარაფშუტა ყმაწყვილთა ამპლუისა გახლავთ.

შევატყე, რომ ქართველმა მსახიობმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონელ სტუმარზე.

—გენბავთ დამწვარი ქართული თეატრის ნახვა? ეკითხე მე, სასახლის ქუჩაზე რომ გავედით.

—დიდათ გმადლობთ, თქვენ მომასწარით: მე თითონ უნდა მეთხოვა ეგ თქვენთვის, —მიპასუხა პოლონელმა

ქართულ თეატრის ეზოში რომ შევუხვით, მომავლად, რომ ფოტოგრაფის ვიტრინაში გამოფენილი იყო მსახიობ ზარდალიშვილის სურათები სხვა და სხვა როლებში, სასწრაფოთ დავწინააღმდეგე და სურათებს დავეფარე, ჩემს თანამგზავრს რომ არ შეენიშნა.

ეზოში რომ გავედით, სტუმარი შევაჩერე:

—აი, ეს გახლავთ, ვუთხარი მე. ხომ ხედავთ, არაფერი ეტყობა; ჩვენს „ამშენებელ კომიტეტს“ უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ასე უცებ ააგო ძველის ნანგრევებზე ახალი თეატრი.

—როგორ? ააგო კიდევ? —განცვიფრდა პოლონელი რეჟისორი: საკვირველია სწორეთ! არ შეიძლება შიგ შევიდეთ და დავათვალიეროთ?

—არა, ეგ არ შეიძლება, რადგან შიგ გაცხარებული მუშაობა გახლავთ, დარბაზსა და სცენას აწყობენ... ათასზე მეტი მუშა ახვევია...

—მერე ეგრე ჩუმათ? რატომ არაფერი ხმაურობა ისმის, თუ ეგრე გაფაციკლებით მუშაობენ?

ვიგრძენი, რომ შევეტოპე:

უკაცრავათ, დღეს კვირა გახლავთ და მუშაობა არ არის! —წამოვისროლე რაც პირზე მომადგა.

—არა, დღეს შაბათი უნდა იყოს, —შემნიშნა სტუმარმა.

—ღიახ, ღიახ! შაბათია, მაგრამ მაინც... ქართ-

ველების უქმეა. შალვა, ბიძინა და ელიზბარ ქსნის ერისთავების დღესასწაულია!.

სხვა რა გზა ქონდა, უნდა დაეჯერებინა.

ქარვასლიდან გამოვედით და კვლავ ქართულ თეატრზე განვაგრძეთ ბაასი.

—ვინ აწარმოებს საქმეს თქვენს თეატრში? კერძო ანტრეპრენიორები თუ რომელიმე საზოგადოება? —მკითხა ჩემმა მოსაუბრემ.

—ამ მხრით ქართული სცენა, ვუპასუხე მე, განსაკუთრებით ბედნიერ პირობებშია. თეატრის საქმე ხელთა აქვს ეროვნულ დრამატიულ საზოგადოებას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ამ საზოგადოების გამგეობას. ყველა თეატრებს და დასებს ეს გამგეობა განაგებს. გამგეობის წევრებათ ირჩევენ ისეთ პირებს, რომელთაც ზედმიწევნით იციან თეატრის საქმე, გულწრფელათ უყვართ სცენა და მთელ თავის ძალღონესა და ენერჯიას თეატრის წინსვლას ანდომებენ...

—შეიძლება მათი გაცნობა?

—სამწუხაროთ არცერთი ამ ყაშათ აქ არ არის: ზოგი მათგანი იტალიაშია წასული, ზოგო საფრანგეთში, გერმანიაში და ვინ იცის კიდევ სად! ყველა ქვეყნებში მოგზაურობენ ხოლმე გაზაფხულობით და ადგილობრივ ეცნობიან სხვა და სხვა ხალხის თეატრებს.

—როგორ? ამ ომის დროს...

—ომი და დაბრკოლება მათთვის არ არსებობს —გავაწყვეტინე სიტყვა: ჩირათაც არ აგდებენ თავის სიცოცხლეს, რაკი საქმე სამშობლო თეატრს შეეხება!

—დიდი თავგანწირული ხალხი ყოფილა, წარმოსთქვა პოლონელმა და შევატყე, რომ შერცხვა, რადგან თითონ ომის გამო იყო წამოსული პოლონეთიდან..

—ეხლა რეჟისურა დავგრჩა, განავრძო მან: დარწმუნებული ვარ, ქართულ თეატრს ისეთი ჩინებული რეჟისორები ეყოლება, როგორც მას შემჭერის.

—ო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!..

—რამდენი იქნება დაახლოვებით რეჟისორები?

—ასე, ორმოცამდე, მაგრამ ამ ორმოცში 5 განსაკუთრებული ნიჭისა და ღირსებისანი არიან, ვუპასუხე მე და ჩამოვუთვალე თბილისისა და ქუთაისის რეჟისორები.

—არ შეიძლება, უფრო დაწვრილებით ამიხსნათ, რა განსაკუთრებული ღირსება აქვთ თქვენ მიერ დასახელებულ რეჟისორებს?

—სიამოვნებით: პირველი მათი თვისება ის არის, რომ სრულიად მოკლებულნი არიან პირად

თავმოყვარეობას, საკუთარი ინტერესი, თავის გამოჩინება და სახელის მოხვეჭა მათ ეჯავრებათ. მათი სახელი და დიდება თეატრის სახელი და დიდებაა; ერთად ერთი მათი მიზანი - ქართულ თეატრის აყვავებაა... სწორედ ჩვენი დრამატიული გამგეობის და რეჟისორების წყალობაა, რომ ქართული თეატრი დღეს ასეთ მდგომარეობაშია. ესლა არ იკითხავთ, როგორი ურთიერთობა სუფევს რეჟისორებს შორის? თვალში რომ ჩაუვარდნენ ერთმანეთს, თითხ არ ამოისვიან. უერთმანეთოდ ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ. ჩვენი გამგეობა იძულებული შეიქმნა რეჟისორებისთვის საერთო სახლი აეშენებია, რადგან ცალ-ცალკე გაძლება არ შეუძლიანთ. საყვედური რაა, უბრალო საყვედურითაც კი არ მიმართავენ ერთი-მეორეს. დასაძინებლათ რომ მიდიან, ერთმანეთს აკოცებენ ხოლმე; დილითაც, ჩაიხე რომ შეიკრიბებოდნ... უცნაური რაღაც მეგობრობა სუფევს მათ შორის. მხოლოდ ხელოვნების სიყვარულის ნიადაგზე შეიძლება ასეთი გრძნობა წარმოიშვას... ჩვენ, ქართველები, სამართლიანათ ვაპაყობთ ჩვენი რეჟისორების ურთიერთშორის ასეთ განწყობილებით!

უკანასკნელი სიტყვები დიდის პათოსით წარმოვსთქვი შთაბეჭდილებისათვის.

ჩემ პოლონელს თვალზე ცრემლი მოადგა, ცხვირსახოცი ამოიღო, თვალეები მოიწმინდა და ათრთოლებულის ხმით მითხრა:

-გმადლობთ! მე, ბედნიერი ვარ იმით, რაც თქვენგან გავიგონე. ჩვენ, პოლონელები, ვაპაყობთ ჩვენის კულტურით, მაგრამ, როგორც სჩანს, თქვენ ჩვენზე წინ წასულხათ. განსაკუთრებით საამო ჩვენთვის ის გარემოებაა, რომ თქვენ, ქართველები, ჩვენსაზე დაჩაგრულები ხართ და მაინც კი აგიყვავებიათ თქვენი ხელოვნება.. ძალიან დამაჯალებთ, თუ ერთ ორ უკანასკნელ კითხვაზე მიპასუხებთ: მეტს აღარ შევაწუხებთ: მიბრძანეთ, რა დროიდან არსებობს ქართული სახიობა?

-უხსოვარი დროიდან: ქრისტემღი ბევრათ აღრე იცნობდა საქართველო სკენას და უყვარდა იგი. მაგრამ ამ დროის შესახებ მეტათ ბუნდოვანი ცნობებია მოსული. ის კი დანამდვილებით ვიცით რომ V საუკუნეში სასცენო ხელოვნება უმაღლეს წვერვალზე იყო მისული: მეფე ვახტანგ გორგასლანმა იალბუზზე ააგო ჩინებული ქართული თეატრი. თვით ვახტანგი მშვენიერი მსახიობი იყო, გაიოზ ფაღავას თამაშობდა გუნისა და ძმაში... მის შესახებ ლექსიც დარჩა „იალბუზზე ფეხი შესდგაო“ და სხვ...

შემდეგ - განვაგრძე მე, რაკი როლში შევედი, დავით აღმაშენებლის დროს განსაკუთრებით ყვალდა ქართული თეატრი. მაშინ დაიწერა ჩვენი კლასიკური ტრაგედია „სამშობლო“, რომლის უმთავრეს გმირის, ლევან ხიმშიაშვილის როლს ჩინებულათ ასრულებდა იმ დროის მსახიობი ზაქარია მხარგრძელი. თამარ მეფის დროს კი, მე-12-ე საუკუნეში, ჩვენ, გვყავდა სახელოვანი ტრაგიკოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც შექმნა სოლეიმანისა და ოთარბეგის როლები „ლალატიში“...


- უკაცრაოთ. - გამაწყვეტინა პოლონელმა: ის, რასაც თქვენ მიაშობთ, იმდენად გასაოცარი და საყურადღებოა, რომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ თავი ვეღარ შევიკავე და შევაჩერეთ: მე მინდა არაფერი გამოვებაროს; თქვენ რამდენიმე ძველი დროის პიესა დასახელეთ. თუ შეიძლება, ვამბეორეთ მათი სახელები, რომ ჩავიწერო!..

- „და ძმა“ ვალ. გუნისი, დაწერილია მე ხუთე საუკუნეში. ეს დრამა გასულ საუკუნის ბოლოს ერთმა უკრაინელმა დრამატურგმა გადათარგმნა, თითქმის სიტყვა-სიტყვით, და მიითვისა. მეორე - „სამშობლო“ დავ. ერისთავისა, დაიწერა დავით აღმაშენებლის დროს; ამ პიესასაც რვიე ბედი ეწია რაც გუნისას „და ძმას“, ფრანგების მწერალმა სარდუმ მოიპარა და საკუთარ ნაწარმოებათ გამოაქვეყნა...

ისე გაგვიტაცა მე და ჩემი მოსაუბრე საქართველოს თეატრის ავკარგზე ბაასმა, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ შემოგვალამდა. განშორებისას პოლონელმა რეჟისორმა მთხოვა ქართულ თეატრის მოკლე ისტორიის დაწერა და მისთვის გადაცემა.

ვხხვო ჩემი მხრით ყველას, ვისაც სამშობლო უყვარს და ეროვნული თეატრის შერცხვენა არ უნდა, მომაწოდონ მასალა ჩვენი თეატრის ისტორიისა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მე მივეცი პოლონელ რეჟისორს ბნ ფში-ცკის.

თავუნა



# ქართული

## სათეატრო

### ჟურნალი.

საღმრთო სჯულზე გული მაშინ ავიცურე, როცა ძველს ალექსანდრეში ამოვიკითხე:

— ყველა ხალხთა შორის ღმერთმა ებრაელები ამოირჩია, მათ სცემდა პატივს და ანებივრებდა.

მე ეს არა მჯერა. რუსეთში შეიძლება ასე თუ ისე, ანებივრებდე მათ განგება, მაგრამ ყველგან ასე ხომ არ იქნება?

ჩემის აზრით ღვთის მიერ არჩეული ხალხი, ეს ერთად ერთი ხალხი, ქართველი ხალხია. გარდა იმისა, რომ ჩვენი სამშობლო კუთხე წილად ხვდა ღვთის შიშობელს, ეს ბოლონდელი სასწაულიც, (ქუთათისში ნათელი ჯვარის გადმოყუდება) საკმაო საბუთს იძლევა განგებას ჩვენდამი ყურადღებისას.

ამ არჩევა მოდგომითა და განებივრებით შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ ჩვენა გვაქვს იშვიათი სათეატრო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

ჟურნალს ხელმძღვანელის ისეთი შეუღარებელი ესტეტი და ხელოვანი, როგორც ჩვენი დაუღალავი მოღვაწე ბ-ნი იოსებ იმედაშვილია.

ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სიყვარული ემჩნეოდა მას ხელოვნებისადმი და პირველ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მამამ მიაბარა კაკაბეთის მუსიკალურ სასწავლებელში. აქ მან დაჰყო ორი თვე და საუცხოვოდ შეითვისა ადგილობრივი მუსიკის ჰანგები. მესამე თვის დასაწყისში იგი გადმოიყვანეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც დაჰყო ექვს ნახევარი თვე და ბუმბერაზული ნიქიც გამოიჩინა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ პაწია იოსებს აღმოაჩნდა განსაკუთრებული მიდრეკილება სასცენო ხელოვნებისადმი და მეგობართა რჩევით შევიდა გლდანის დრამატულ კურსებზე. აქ მან აირჩია თითქმის ყველა დარგი სასცენო ხელოვნებისა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა **ლიქციას** და **პლასტიკას**. პირველ ფაქულტეტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ყარაჩოღელი პროფესორი ბუღდან ხახულიანი, ხოლო მეორეს აწ განსვენებული ლუარსაბ თათქაროვი.

კურსების დასრულების შემდეგ, სწავლის და სამთავრებლათ ახალგაზრდა იოსებმა რამოდენიმე წელი დაჰყო საზღვარ გარეთ, სახელდობრ ქ. ავ-

ლაბარში და სრულიად მოქმადებული თავის აწინდელ მძიმე მოვალეობისათვის დაუბრუნდა სამშობლოს 1905 წლის დამლევს.

საკმარისია გადაშალოთ რომელიმე ნომერი ჟურ. „**თეატრი და ცხოვრება**“-ისა, რომ თქვენი ყურადღება მიიჯაქვოს ამა თუ იმ მოხდენილმა წერილმა ქართული სასცენო ხელოვნების შესახებ. განსაკუთრებით სახელი მოიხვეჭა აღნიშნული ჟურნალის მოწინავეებმა. მე რასაკვირველია არა მჯერა ხალხში გავრცელებული ქორი, თითქო დიდებულ მგოსან აკაკის იმდენათ შეშურდა ეს მოწინავეები, რომ მუდამ ოცნებობდა იმათი მაგვარი რამ დაეწერა, მაგრამ რაკი ვერ მოახერხა, ამ დარღმა გადაიტანაო. ასეა, თუ ისე, ჯერ ქართულ მწერლობას არ ახსოვს ამისი მაგვარი არაფერი. აი მაგალითებიც.

#### „სარწმუნოება თუ, ცრუ მორწმუნოება?“

„დიდი ხანია მეცნიერებამ ბუნების საიდუმლოებას ხეწარი გადაახა... აღმინაზა დაიფლო დედა მიწის გული, ზღვარეთა და ჰაერის. მაგრამ ბევრის შხრით დღესაც უვიცობის ბურუსი გვეფარავს... და ეს ასე იქნება, ვიდრე ერთხელ და სამუდამოთ გაბედულათ არ ვადრგეთ ზურგს ძველ ადამ ჩვეულებას“.

მართალია ამ სტატიას თეატრთან თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ისეთ უღმობელ და ტრაგიკულ ცრუმორწმუნოებას ეხება, როგორც მაგალითად **სიკვდილია**.

განსაკუთრებულის ცოდნით, შორს მკვრეტელობით, გარკვეული აზრით და მკაფიო სიტყვებით შეზავებულია კლასიკური სტატია „**წაჯამ-ქაუჯამ-ქობა**“. „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ ნათქვამა და მართალიც არის, თორემ ასეთი წერილი თუ სხვა ევროპიულ ენაზე დაწერილიყო მის ავტორს ცოცხლითვე ხელთ უქმნელ ძველს დაუღვამდენ.

„ერთის ფეხით რომ წინ გადავტებით, მეორეთი უკან, ასეთია ჩვენი თვისება. ეს თვისება ნათლად გამოიჩინეს ჩვენმა კლუბისტებმა გასული კვირის არჩევნებზე. პირველ კრებაზე რამდენადმე დამსახურებული და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი აირჩიეს მამასახლისებთ... უნაგარო ქართულმა გულდამშვიდებით ამოისუნთქა:—მადლობა ღმერთს, იქნება ახლა უფრო უკეთ წავიდეს საქმე, ნივთიერათ თუ ვიდვარცლებით წყალობითა კლუბისათა, ეგება სულიერათ შევიძინათ რამეო. და სხვ.“

მართალია არც ეს წერილი შეეხება სასცენო ხელოვნებას, მაგრამ მასში ეგზომ მკაფიოთ გარკვეულ საკითხს ღრმა ეროვნულ—კულტურული მნიშვნელობა აქვს. ექვს გარეშეა ქონებრივთ ღვარცლილი ქართველობა ღირსია სულიერათ მიანიც შეიღვარცლოს. ამისათვის კი საჭიროა მხვილი ჩაე-

ცეს კლუბისტებში ფესვ გადგმულ ჩვეულებას „წა-  
ჯექ-უკუჯექობას“ და აი იოსებ იმედაშვილის ყო-  
ველი ღირსებით დაღვარცლილი წერილი სწორედ  
ასეთი მახვილია.

მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ  
ბატონებო? თითოეული მათგანი ცალკე და ყველა  
ერთად მარგალიტთა მძვივს წარმოადგენს, რომელ-  
საც განცვიფრებაში მოჰყავს მსმენელი და მკითხ-  
ველი, დრო, ადგილი და გარემოება ნებას არ გვაძ-  
ლევს, თორემ კიდევ დიდხანს შეგვეძლო დაგვეტკ-  
ბო თქვენი სმენა.

კ აღო.

# დრამატურები

სიმონ დომხალიანი

მთელი საქართველო იცნობს მას, როგორც  
ნიკიერსა და ნაყოფიერ საზოგადო მოღვაწეს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, როცა მან დრა-  
მათ გადააკეთა ვარლამ ხინკლაძის მოთხრობა „მწა-  
რე ხაპი“, (რომელიც წარმოდგენილ იქმნა სოფ.  
ჯილაურის სცენაზე) ცნობილი რეცენზენტი ბ-ნი  
კულრაქა სწერდა:

— „ყოველივე ექვს გარეშეა, რომ ბ-ნ. დომ-  
ხალიანის პიესა ახალი ვარსკვლავია ჩვენი ხელოვ-  
ნების ლაქვარდოვან ცის კაბადონის გუმბათზე“.

მას შემდეგ 37 წელიწადი გავიდა. სიმონის კა-  
ლაში დაუღალავათ მუშაობდა და ჰქმნიდა ახალ-  
ახალ მარგალიტებს ქართველ მსახიობთა საკეთილ-  
დღეოთ. მან გადააკეთა შვიდი მოთხრობა ბელეტ-  
რისტი ლევან უმწიფარიძისა; ცხრა რომანი პეტრე  
ფიქრიანიძისა; 4 მოთხრობა სილოვან ბაინდურაძის-  
სა, ცამეტი ფელეტონი შიო ბენედიძისა, თერთმეტი  
პოემა არჩილ ხავსაძისა და ოცდასამი მინიატურა  
ჯოჯო ხელიკაძისა. ამგვარათ მის კურთხეულ კალამს  
ეკუთვნის 32 დრამა, 21 ტრაგედია და 15 კომედია.

ამ ერთი კვირას წინათ მან დაიწყო ახალი დრა-  
მა, სახელად „მეგობრობა“. სიუჟეტი დრამისა, რო-  
გორც ყოველთვის, აღებულია ჩვენი ცხოვრებიდან:  
სახელდობრ იაკობ გოგებაშვილის „რწყილი და  
ჭიანჭველიდან“.

დრამა შესდგება თორმეტი მოქმედებისაგან და,  
თუ ავტორმა ვრცელი გეგმა განახორციელა, ქვა-  
კუთხედათ დაედება ახალ მიმართულებას დრამატურ-  
გიაში. მე განზრახვა მაქვს მოკლეთ გავაცნო მკითხ-

ველ საზოგადოებას ის ჩონჩხი, რომელსაც თვალ-  
წარმატაც სიმშვენიერით შემოსავს ჩვენი დრამატურ-  
გის კალამი:

## მოქმედება I

**რწყილი და ჭიანჭველა.** ერთ მშვენიერ  
რწყილის შეუყვარდა საუცხოვო ნაზი ქალწული, ჭიან-  
ჭველა. (აქ აწერილია მათი მიწერ-მოწერა, შემდეგ  
საქმის გათავება და ჯვრის დაწერა) ახალ ჯვარდა-  
წერილნი, როგორც მიღებულია არისტოკრატიაში,  
წავედენ სამგზავროთ სამზღვარ გარეთ.

სცენა პირველი მოქმედებისა წარმოადგენს  
მშვენიერ კორდს, რომლის დასავლეთით ჩამოქუხს  
ანკარა წყარო. რწყილს აცვია შავი ჩერქესკა, გიშ-  
რის მასრებიითა. ხოლო ჭიანჭველას ცოტა თალხი  
კაბა შანტკელერის მოდისა.

## მოქმედება II

**მდინარის პირად.** შეყვარებულნი მიადგენ  
მდინარეს. არც ხიდი, არც ბორანი, არც მენავე.  
რწყილი ვაქაცურათ გადახტა, ხოლო ჭიანჭველას  
ვიწრო კაბამ ხელი შეუშალა და წყალში ჩავარდა.  
საბრალო რწყილი შიშის ზარამ აიტანა. მხოლოდ  
მაშინ მოვიდა გონს, როცა თავისი სატრფო ქვა-  
ზე დაინახა შესკუბებული შუაგულ მდინარეში.

## მოქმედება III

**რწყილი ღორთან.** გონზე მოსულ რწყილს  
გახსენდება ჯავარი და მოჰკურცხლავს ღორთან.  
ღორი არხეინათ წევს ღობის ძირათ, მზის გულზე,  
და განცხრომას მისცემია. (ეს ადგილი დრამისა გან-  
საკუთრებული სიმშვენიერით არის დასურათებული.)  
ცხარე ცრელით უაძობს რწყილი თავის  
გასაქირს წამოწოლილ ღორს (უნდა გახსოვ-  
დეთ, რომ რწყილი ლაპარაკობს ლექსათ და თანაც  
დრამატული ტენორით), მაგრამ ის ყურადღებასაც  
არ აქცევს შეყვარებულის ტანჯვას და ეუბნება:

— ჯავარი მუქთი ხომ არ არის, წადი ერთი  
ტომარა რკო მომიტანე და მიირთვი რამდენიც გე-  
ნებოსო.

## მოქმედება IV

**რწყილი მუხასთან.** გულცივმა მუხამაც სას-  
ყიდელი მოითხოვა ერთ ტომარა რკოში და დამ-  
წუხრებული რწყილი იძულებული შეიქნა ყვავთან  
წასულიყო სათხოვნელათ.

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა V**

**რწეილი ყვავთან.**

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა VI**

**რწეილი კრუხთან.** კრუხი რა არის, ამდენი შვილების პატრონი, მაგრამ ვერც იმისი დედაობრივი გული მოალობო დაობლებული რწეილის მუდარამ. დედაობრივმა სიყვარულმა სძლია და შვილის დათმობისათვის სასყიდლათ ერთი კოდი ფეტვი მოითხოვა. ეს მოქმედება ალევგორია თანამედროვე სოციალური ვითარებისა და დრამატურგ ბიქტორ ბოლთაძის შემდეგ ამ საკითხს ასე გაბედულათ არა ვინ შეხებია.

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა VII**

**რწეილი ორმოსთან.**

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა VIII**

**რწეილი თავთან.** ეშმაკი თავი თითონ იცნობდა თურმე საფრაზეში მყოფ ქალბატონ ქიანკველას, მაგრამ ორმოსათვის თავის დანებების კომპენსაციით მოითხოვა რწეილი ეშუამდგომლა კატასთან და მათი გამწვავებული დამოკიდებულება მოკვარება.

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა IX**

**რწეილი კატასთან.**

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა X**

**რწეილი ძროხასთან.** მშვიდობიანმა ძროხამაც რძის სამაგიეროთ ერთი ურემი ბალახი მოითხოვა დი რწეილი განსაცდელში ჩაავლო.

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა XI**

**რწეილი მინდორში.**

**მ ა ქ მ ე დ ე ბ ა XII**

**რწეილის დაბრუნება.** მთელი კვანძი დრამისა მეთორმეტე მოქმედებაშია. აქ აშკარათ სჩანს ორიგინალობა სიმონ დომხალიანის შემოქმედებითი ნიჭისა და დრამაც სრულიად შორდება იაკობ გოგებაშვილის სტატიის შინაარსს.

სიმღერით დაბრუნებულ რწეილს საშიშარი სურათი უხვდება. მისი საყვარელი, მისი გულის სატრფო წყალს გაუტაცნია, დაუბრჩვია და ნაპირას

გაურიყავს. ამის დანახვაზე რწეილს გული უწუხდება და მიწაზე ეცემა. როცა გონს მოდის, მყისვე ჯავარს ეცემა მარყუჯათ გამოსკვნის, ხეზე ჩამოაბამს, გაპყობს თავსა ჩამოიხრჩობა.

ასეთია მოკლეთ ეს შესანიშნავი შემოქმედება ჩვენი სასიქადლო დრამატურგის სიმონ დომხალიანისა.

**მორიელი**

**იუბილე**

**ავთანდილ კიტრაძისა.**

(ათი თვის სცენის მოყვარეობის გამო.)

ათას ცხრაას იმა და იმ წლის ამა და ამ აგვისტოს შეუსრულდებოდა ქართული სცენის მსახიობ ავთანდილ კიტრაძეს 10 თვის სასცენო მღვწეობა, მაგრამ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა შერეულმა კომისიამ პირველი აპრილიდანვე დაიწყო სხდომები და მზადება.

პირველ კრებაზე გადაწყდა იუბილეს გადახდა ორ დედა-ქალაქში: თფილისსა და ქუთაისში. არჩეულ იქნა ცალკე კომისია დღესასწაულის სახელმძღვანელოთ.


მეორე სხდომაზე მოწვეულ იქნა თვით საიუბილიარე, ავთანდილ კიტრაძე, რომელმაც ვეღარ გაბედა ქართველი ხალხის სურვილის წინააღმდეგ წასვლა და თანხმობა განაცხადა დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე.

მესამე კრებამ უკვე შეიმუშავა ცერემონიის გეგმა და აირჩია ცერემონიებისტრათ თავ. ვახტანგ რუმბიშვილი.

მეოთხე კრებას მოხსენდა სამართლიანი სურვილი ადგილობრივ დღესასწაულის გადახდისა: ქქ. თელავში, სიღნაღში, გორში, ქიათურაში, ხაშურში, ზესტაფონში, ფოთში, ოზურგეთში, სოხუმში, და ზუგდიდში. საიუბილეო კომიტეტი პირველათ თითქო შეშინდა, მაგრამ ბოლოს სასურველათ სცნო მათი თხოვნის დაკმაყოფილება.

მეხუთე კრებაზე ავთანდილ კიტრაძის იუბილე აღიარებულ იქნა ეროვნულ დღესასწაულათ. ადგილობრივ დღესასწაული გადასწყვიტეს: სოფ. პატრიკეთმა, (უცნობი მაზრა) ცხემლისხიდიმა, (გურია) ცხვარი-ქამიამ, (დუშეთის მაზრა) ილეშმა, (შორ. მაზრა) ღვანკითმა, (მგოსანი ღვანკითელის მეთაურობით) კაკაბეთმა, ქობორტმა, ვარდისუბანმა, გეზათმა, ჩუმლაყმა, ქოტორმა, წყემმა, არაშენდამ, წილ-


რეჟისორები



ვისაც კი ახსოვს  
„კიბო და გედი“

არ გააკვირვებს  
თეატრის ბედი.

პარანტიზი




ახალი გამგეობა იძულებული შეიქნა, მოეწვია განსაკუთრებული ყელის ექიმი, რომელიც  
 გასინჯავს თეატრში შესვლის მსურველთ და დაურიგებს ორ-ორ პარანტიზს ხველის წამალს. ამ  
 ხერხით ფიქრობენ მოსკოის გამბული ხველა, რომელიც ეგრე ჰარმონიულად ეგუება ქარ-  
 თულ თეატრს. „რას ჩადიხართ?“ ნუ თუ უგუნურნო გინდათ მოსკოთ ჩვენი ხანგრძლივი კულ-  
 ტურის მიერ შემუშავებული ტრადიცია? რას ჩადიხართ, რას???

თელა უარდანია.




### წელმეტი პარკი




**პირველი რეჟისორი.** აღრევე უნდა მიგმზღდარეყავით და ჩამოგველო, ეს ჩვენთვის უსარგებლო ნივთი. ვინ იცის რამდენ უსიამოვნებას აცდლებოლით. გამოაცხადებ რვაზე, დაიწყებ ცხრაზე, გაათავებ ცამეტზე... ახლა მაინც ვეღარ მიხედებიან.

**მეორე რეჟისორი.** ახლა რომ მოვიფიქრეთ, ესეც კარგია, лучше поздно, "чѣмъ никогда".



### შაშვი ქაბა



**კატა:** მიაუ! მიაუ!  
**რეჟისორები:** (ერთმანეთს) ამ! ამ-ამ, ამ!

### გ ა მ ო ც ღ ა



**რეჟისორი.** საუცხოვო ხმა აქვს! ჩინებული სუფლიორი იქნება.

კანმა, ხორხელმა, სუჯუნამ, კისისხემა, ბეოლიეთ-  
მა, და კიდევ 227 სოფელმა. აღსანიშნავი ის იყო,  
რომ ყველგან ინიციატორობას ხალხი იჩენდა და  
არა ინტელიგენცია.

მეექვსე კრებაზე ერთმა წევრთაგანმა წინადა-  
დება შემოიტანა: მიენდოს მოქანდაკე ი. ნიკოლა-  
ძეს შეადგინოს ავთანდილის ძეგლის გეგმა. წინა-  
დადება ერთხმით მიღებულ იქნა, აგრეთვე გადაწყ-  
და დაარსდეს განსაკუთრებული „საძეგლე ფონდი“  
და გაიმართოს მთელს საქართველოში ხელის მო-  
წერა.

მეშვიდე კრებაზე გადაწყდა უცხო ეროვნებათა  
მონაწილეობა ქართულ დღესასწაულზე; შედგენა  
ვრცელი ბიოგრაფიისა და ალბომისა იუბილიარის  
მოღვაწეობის შესახებ.

მერვე კრებაზე ერთხმით მიღებულ და მოწო-  
ნებულ იქნა დიდებულ კომპოზიტორის ზურაბ  
საყვირაძის საღვთსაწაულო საგალობელი და მრავ-  
ალ ჟამიერი.

მეცხრე კრებაზე, როგორც უკანასკნელზე, გა-  
ნაწილებულ იქნა ადგილები თეატრში და როლე-  
ბი დღესასწაულზე. განისაზღვრა სიტყვებასთვის  
დრო 90 წუთი (იგულისხმეთ მინუტი) და რიკვი  
ორატორებისა 716.

### დ ლ ე მ ა ა.

საიუბილეო თეატრის სცენაზე ამართულია მა-  
ღალი პირამიდა, რომლის წვერში ზის საგანი დღე-  
სასწაულისა ავთანდილ კიტრაძე. იგი სრულიად  
ახლოვარდა გამოიყურება. ეს არც გასაკვირია:  
სასცენო მოღვაწეობა მას 21 წლისას დაუწყია პა-  
ტარა მოახლის როლში. ახლა ის სრული 21 წლი-  
საა. ამ ათი თვის განმავლობაში მას მონაწილეობა  
მიუღია 7 წარმოდგენაში და 2 სალიტერატურო  
დილაში.

პირამიდის საფეხურებზე სხედან დამსახურებულ-  
ნი მსახიობნი და საზოგადო მოღვაწენი ყოველი ას-  
პარეზისა. ფარდის ახდისას ხალხი ფეხზე ადგა და  
იუბილიარის გამოჩენისთანავე თეატრის დარბაზი  
მხურვალე ტაშის გრილმა შეაზანზარა.

პირველი სიტყვა ეკუთვნის დამსახურებულ  
მსახიობს ზაქარ მარაველს. სცენაზე გამოდის ღრმად  
მოხუცებული, მაგრამ უწვევრ უღვაშო ბავშვი. ის  
უახლოვდება დანიშნულ ადგილს და აკანკალებუ-  
ლის ხმით იწყებს:

—ღრმად პატივცემულო და ქართული სცენის  
ვარსკვლავო ავთანდილ! მე წილად მხედა პირველს  
მეთქვა შენთვის მადლობა სამშობლოსაგან და მო-

მელოცა 10 თვის დაუღალავი მუშაობა ქართული  
ხელოვნების ასაყვავებლათ. მე..

აქ მოხუცს გული შეუწუხდა და გაიყვანეს.  
სცენაზე გამოვიდა შავებში მოთრული მანდილოსა-  
ნი. მიუახლოვდა პირამიდას და დაიწყო:

—ღრმად პატივცემულო და ვარსკვლავო სამ-  
შობლო სცენისაო ავთანდილ! ვმადლობ განგებას,  
რომ მე წილად მარგუნა ქართველ ქალთაგან პირ-  
ველს მეთქვა თქვენთვის მადლობა 10 თვის სასცე-  
ნო მოღვაწეობისათვის. ჩვენს ისედაც ღარიბს სცე-  
ნას..

ქალბატონ თეკლე მუხმუხელაძეს მოულოდ-  
ნელათ ტირილი აუარდა, რამაც დამსწრეთა მხურ-  
ვალე ტაში გამოიწვია. შემდეგი სიტყვა თავად-აზ-  
ნაურობის წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ნაკოლ აზ-  
ყანწოვმა რაინდული რიხითა და მოხდენით დაიწყო:

—ქართული სცენის ვარსკვლავო, ღრმად პა-  
ტივცემულო ავთანდილ! მე წილად მხედა ბედნიე-  
რება ქართველ თავად-აზნაურთაგან პირველს აღმე-  
მადლებია ხმა თქვენი ხანგრძლივი და დაუღალავი  
მოღვაწეობის შესახებ ქართული სცენის ასაყვავებ-  
ლათ... ვაშა თქვენს მოღვაწეობას ქართული ხელოვნ-  
ების ასალორ..

თავადი გაფითრდა, მუხლებმა კანკალი დაუწ-  
ყო და რომ იგი ამ უხერხულ მდგომარეობიდან გა-  
მოეყვანათ, ზურაბ საყვირაძის ქართულმა ხორამ  
შეასრულა კახური მრავალჟამიერ სამგზის. სცენაზე  
გამოვიდა წერაკითხვის ვამაგრცელებელ საზოგადო-  
ების წარმომადგენელი ერეკლე ქოქაძე. მან, ამოი-  
ლო ჯიბიდან ვრცელი ქალღი და დააწყო:

ვარსკვლავო ქართული სცენისაო პატივცემუ-  
ლო ღრმად ავთანდილ! თქვენი ვარსკვლავის ხანგრძ-  
ლივი სცენა... სამშობლოსაგან მადლობა მოდ...  
მოდ. მოდ.. ვაწყო დაუღალავი..

ავთანდილ კიტრაძე მყის ჩამოიქრა დაბლა,  
მხურვალედ გადაეხვია ერეკლეს და გადაკაცნა.  
ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ისევ კა-  
ხური მრავალჟამიერ დარჩა საქირო აღტყინებულ  
გრძნობათა დასაწყნარებლათ. სცენაზე გამოვიდა  
კრების თავმჯდომარე ფირონ ზურნოვი და დაიწყო:  
(კითხვა)

—ბატონებო! მე მეგონია პატივცემული იუბი-  
ლიარის მოღვაწეობა ყოველ მხრივ იქნება გაშუქ-  
ებული, თუ ვიქონიებთ მოთმინებას და მოვისმენთ ავ-  
თანდილის მოკლე ბიოგრაფიას.

„ავთანდილ კიტრაძე დაიბადა სოფელში და  
იქვე იზრდებოდა, ვიდრე სასცენო მოღვაწეობას  
დაიწყებდა. 21 წლისა შედგა ის ამ დარგზე და

გასწია ჭაბანი. თამაშობდა როლებს თითქმის ყოველთვის, როცა კი სცენაზე დავინახავდით. ერთხელ ვასო აბაშიძემ ასე უთხრა:

—ყოჩაღ ბიჭო ავთანდილა, რა ყოჩაღი რამ ყოფილა?.. იმისი ქება ხშირათ ყოფილა ქართული გაზეთების რეცენზიებში. გაზეთი „ხობობი“ სწერს: — „ავთანდილ კიტრადე მხარეთულის როლს ცოტას გადაქარბებულათ ანსახიერებდაო“ როგორც ხედავთ, არა თუ მოაკლო რამე ხელობას, პირიქით კიდევაც გადააქარბა. ერთი სიტყვით, მთელი მისი მოღვაწეობა სავსეა თავდადების გრძობათა გამოთქმის მიღრეკილებით. მაშ ასე, ჩვენ ვუერთდებით მთელი ქართველი სცენების, გულისთქმას და მუხლს ვიდრეკთ ღირსული ქართველი მოღვაწის ცხედარის...

ხალხში დიდი ჩოჩქოლი შეიქნა. ყველანი დაიბნენ. და ისევ იუბილიარმა გამოიყვანა საზოგადოება უხერხულ მდგომარეობიდან. ის ჩამოვიდა ძირს, ამოიღო ჯიბიდან დახვეული ქალაღი, გაშალა და დაიწყო კითხვა:

— ბატონებო, მე იმის ნახევარიც არ მეკუთვნის, რაც აქ ითქვა ჩემ შესახებ. მე ერთი უბრალო წვერთავანი ვარ ჩვენი სცენის მოყვარეობისა და თუ მახარებს, მე მახარებს ქართველი ერის გამოღვიძება. გმადლობთ ბატო...

იუბილიარი ატირდა. თეატრში კვალე ტაშის გრიალი გაისმა...

ამით დათავდა დილის განყოფილება.

ეშმაკი.



მოკარნახე. [სუფლიორი].

მოკარნახე იგივეა წარმოდგენისთვის, რაც ქონი ან საპონი ურმის ღერძისათვის; კიდევ მეტი: როგორც ურემი ვერ გაივლის უთვლებოთ, ისე წარმოდგენა არ იქნება უმოკარნახოთ. მართალია, სამხატვრო თეატრისა და ზოგი კიდევ სხვა დასი ხშირათ თუთიყუშებივით იზებირებენ 1—2 როლებს და უმოკარნახოთ თამაშობენ ხოლმე, მაგრამ ქართველი მსახიობები ჯერ ისე არ დაქვეითებულან, რომ ტიკინებივით ზებირათ და უაზროთ იტიკტიკონ სცენაზე: ქართველი მსახიობი უპირველეს ყოვლისა აზრსა და გონებას ატანს თვითეულ სიტყვას: ჯერ გარკვეულათ უნდა გაიგონოს მოკარნახისაგან, შემდეგ დაუფიქრდეს, რა კილოზე უნდა წარმოსთქვას, გაგონილი სიტყვა, შეუფარდოს მიხერა მოხერა და შესტი და მხოლოდ შემდეგ გაიმეოროს.

ვინაიდან ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ მსახიობს სუსტი სმენა აქვს, ან ოდნავ შექიფიანებულია, ამიტომ საჭიროა ისეთი მოკარნახე, რომ ასეთ შემთხვევებისთვის გამოსადეგარი იყოს. კიდევ უფრო ხშირათ, მოსალოდნელია, მსახიობმა როლი სრულებით არ იცოდეს. ეს სულაც არ არის გასაკვირველი: თუ გავიხსენებთ, რომ მსახიობს თვეში 4—5 როლის დასწავლა მოუწევს, ადვილათ მივხვდებით, რომ თუ ქართველი მსახიობი სინდისიერათ მოეკიდა როლის სწავლას, მაშინ მას სრულიად აღარ ექნება დრო: ვერც კლუბის ბიბლიოთეკაში ივლის, ვერც ზარნაძის მუზეუმში და ვერც სხვა სამხატვრო გალერეებში და გამოფენებზე. ეს ერთი მოსაზრება როლის სწავლის წინააღმდეგ; მეორე ის გახლავთ, რომ როლები უმეტესათ აბდა-უბდას წარმოადგენს, არც გონების გასავითარებელი რამ არის შიგ და არც ზნეობის გამაფიქრებელი; მაშასადამე როლის გაზეპირება უნაყოფო შრომას შეადგენს. ესეც არ იყოს, რა საჭიროა როლის ზებირაჲ სწავლა, როდესაც მოკარნახე გიზის კარავში...

ყველა ამ გარემოებათა მიხედვით აშკარაა, რომ წარმოდგენის ღერძს შეადგენს მოკარნახე; უკანასკნელი თავის კარავიდან აწვდის როლის სიტყვებს ისეთ მსახიობებს, რომელთა უმეტესობამ როლი არ იცის პრინციპიალურათ, დანარჩენებმა კი — ზოგმა ავთომყოფობის გამო (სიმოვრალე) და ზოგი კიდევ სმენა-ნაკლებია და ნაკარნახევი ცუდათ ესმის.

მაშასადამე მოკარნახისათვის საჭიროა ისეთი ხმა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რჯულის მსახიობებს გააგონოს სიტყვები და თუ მოხდა, რომ მსახიობებმა როლები აურიეს, თითონ მოკარნახე ჩაერიოს დიალოგში და თავისი მქუხარე ხმით დააზნოს მსახიობთა არეული ლაპარაკი.

ამიტომ რეჟისორი უპირველეს ყოვლისა ხმას უსინჯავს ვისაც ქართული სცენის მოკარნახეობა უნდა: თუ ყველა ფარდებში ისე ძლიერი ხმა აქვს, რომ კარავიდან მისი ნაკარნახევი თავისუფლათ იმის ქანდარის უკანასკნელ წყებაში და პარტერის დერეფანში, გამოდგება მოკარნახეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში — არა....



# რ ე წ ე ნ ზ ი ა .

# ჩვენის სახიობა

პიესის შინაარსზე არ შევჩერდებით. ავტორს ეტყობა მოქმედ პირთა სიუჟეტის განსახიერების უნარი. რაც შეეხება პიესის დადგმას და მსახიობთა თამაშს, ვიტყით შემდეგს: რეჟისორი ვერ გამოდგა დახელოვნებული დიაბაზონის მქონე. თანამედროვე რეჟისორის უპირველესი ღირსება, მოგებისენებათ, მიმიკა გახლავთ. სწორეთ მიმიკა აკლდა ჩვენს რეჟისორს და ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ პირველ მოქმედების რეპლიკა რემარკაზე დაბლა იდგა და პერსონაჟის კვანძი შესაფერათ ვერ იხლართებოდა. მოქმედება პიესის დედააზრისა, ე. ი. იდეტიქსის, არა თუ განვითარებული არ იყო, პირიქით ანსაზღვს ხელს უწყობდა. გადავიდეთ დანარჩენ მოქმედებებზე. მოგვეწონა მესამე აქტის დიქცია — მეტათ დაკვირვებული, მოკლე და სხარტული. კარგი იქნებოდა მეუთე მოქმედებაც, ბოლო სურათის ამპლუას რომ ხელი არ შეეშალა. ბ. რეჟისორო, ცოტა მეტის ეკონომიით იხმარეთ ეფექტიანი ამპლუები! მეორე მოქმედების პირველი ნახევარი რომ რეალისტურ ნოტებზე ყოფილიყო დადგმული, ხოლო მეორე ნახევარი უფრო ბუნებრივი ფერადებით — შთაბეჭდილება ასე ნერვებიანი აღარ იქნებოდა. პიესის დადგმა საზოგადოთ მოსკოვის სიმხატვრო თეატრის რეჟისორის, ჩვენი თანამემამულის იუჟინ სუმბათაშვილის ტენდენციები მოგვაგონა! გაჰყევით, ბ. რეჟისორო, ძველ გზას და ნუ დაივიწყებთ, რომ რთულისა და მეტათ გაქიანურებულ გონდონკრეგების ხმარება არა თუ ჩვენს დაქვეითებულ თეატრში, საფრანგეთის შეერთებულ შტატებშიაც კი უჭირთ!

დასასრულ მსახიობთა თამაშზე, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მსახიობის როლიშვილის თამაში მოგვეწონა. ამ ყმაწვილს აქედანვე ნიჭიერი მიზანსცენები ეტყობა და ხმის რეპერტუარიც სწყალობს. ვუსურვებთ განვითარებას. ბროლისელი დაკვირვებული რეზონანსის პატრონია, მიხვრა-მოხვრაც შესაფერი აქვს, ასე რომ ჩვენს დაბეჩავებულ სცენაზე კარგი ადგილი უჭირავს. დანარჩენები ანტურაჟს ხელს უწყობდენ.

**რას მიუყრებ, ვერ მიცანი,  
დახ მე გახლავარ!**



გასულ შაბათს, 4 აპრილს, დილით, სახაზინო ნო დარბაზის თეატრში, დამსახურებული არტისტების ქ-ნ ს. ინგუშაშვილის, პატარიძის, რომეოტალოლიაშვილის, არლეკინატატას, ბ.ბ. ვალიანია რუმბიას, კ. სიმღერიშვილის, კნუტიაშვილის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა ცნობილი პიესა, ცნობილი ტურგი დრამისა, ცნობილი „ერთგულება“ სიტყვები გუმბათაშვილისა, ადვილად შემახინჯებული ლევერიან მუნიას მიერ ნ სუფლიორობათ და ერთ ბეგლარად. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. ეტყობოდა მუყაითი ნიჭიერი რეჟისორის ხელები, როგორც სცენის მოწყობით და ჩაცმა-დახურვით, ისე ყოველივე სიტყვა, ყოველი მოძრაობა, პირის თამაში, ფხვების ნაკვთებთა მოძრაობა საუცხოვოდ გაეზებირებინა ყველა მოთამაშეს. ჩვენ არ გვახსოვს ქართულ სცენაზე ასეთი წარმოდგენა, და მაღლობელი აუარებელი საზოგადოება მხურვალე ტაშის კვრით შეხვდა ამ წარმოდგენას. მოთამაშებში უპირატესობა ვის მივცე არ ვიცი. ყველა ისე თამაშობდა, თითქოს ეს სცენაზე კიარა, არამედ სახლში ზის და ბუნებრივი მოხატულობით, ნამდვილ სურათ-ხატებას გვსახავდენ. მაგრამ არ შემიძლია არ გამოვარჩიო ქ-ნი რ. ლოლიაშვილი და ბ. ვალიანია რუმბია. განსაკუთრებით პირველის თამაშმა დიდი ცრემლები და ტირილი გამოიწვია მაგრამ არ შემიძლია არ შევნიშნო პატ. მსახიობ-ქალს სიარული არ უვარგოდა, კვატივით დადიოდა და როცა მისი შვილი მოკლეს ისე იკივლა, რომ გეგონებოდათ ძაღლმა უკბინა და შეეშინდაო. ბ. რუმბია საუცხოვო ყაფლან ფაშაა, განსაკუთრებით იმ ადგილას სადაც იგი ამბობს „ოხ დედოფალო, ოთარ, მიწინამძღვრე“, ამ მსახიობს დიდი ღირსება აქვს, როლი ძალიან კარგათ იცის ყოველთვის, და სუფლიორიც სულ არ ისმის მისი თამაშის დროს. საუცხოვო იყო კნუტიაშვილი, განსაკუთრებით როდესაც იატაკზე თავს არტყამს, მხოლოდ გარეგნობით ყასაბის კუნძს გავდა და ისე ულაზათოდ ეჭირა თავი, ისე უშნოდ იყო ჩაცმული, რომ შეგზიზღებოდა. ბ. სიმღერიშვილი საუცხოვო იყო თავის როლში, მისი განსაკუთრებული თვისებაა კეთილსინდისიერება. მაგრამ უნდა შევნიშნოთ რომ ის როლს არ შეეფერებოდა, დიქცია და მიმიკა არ უვარგოდა, როლი ხომ არ იცოდა და მისი თამაშობის დროს საზოგადოება პირს იბრუნებდა. მთელი წარმოდგენის დამამშვენებელი სურათ-ხატება — სპეტაკი განსახიერებულ-ჯვარ-ხატე-

ბა იყო ქ-ნი არლკინატა. ყოველი სიტყვა ყოველი მოძრაობა, თვალის გახელა-დახუჭვა, ადგომა-დაჯდომა, სულიერ განცდათა ბგერა-მღელღარება, ნესტო-ბაგეთა თრთოღვა-ცუნტრუკი ნამდვილი ხელოვნების დღესასწაული იყო. საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით უცქერდა მის თამაშს. მხოლოდ უნდა შევნიშნო პატ. მსახიობ-ქალს, რომ მეტად არა ბუნებრივად ექირა თავი, ასე გეგონებოდათ კლასის გემნაზისტკა არის და თავისი ტიტინით ახალ დაბადებულ ბავშვს მოგაგონებდათ. მისი მიხერა მოხვრა, სიცილი, სიარული, სიტყვების ლაპარაკი ულახათოდ-უგემურად ხედებოდა ყურსა და აღშფოთებას იწვევდა. დანარჩენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამსამბლი არ დაურღვევიათ, თუმცა როლი არც ერთმა არ იცოდა, თავი საძაგლად ექირათ. არ იცოდნენ სად დამდგარიყვენ, თხებივით თვალებს აბრიალებდენ და საზოგადოთ არაფრად არ ვარგოდნენ. ერთი შენიშვნა რეჟისორს: თუმცა წვრილმანია მარა მანც საყურადღებო. პიესაში სწერია, ლამეო, მზე კი ანათებდა. სიტყვების შემდეგ: „რა მყუდროება და სიჩუმეა“ წვიმა ქარი და ქუხილი იყო. აგრედვე მიაქციეთ ყურადღება ჩაცმა დახურვას და გრიმს: არცერთს შესაფერი გრიმი და ტანსამოსი არ ჰქონდა და სცენაც საძაგლად იყო მორთული. რასაკვირველია ეს, წვრილმანია, მაგრამ მანც აღსანიშნავია. წარმოდგენა ძალიან გვიან გათავდა და ხალხმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

**რეცენზენტი ეშმაკი**



**მუსიკოს კომპოზიტორს**

**სერაფიონ ზურნაშვილის სიმფონიური კონცერტი.**

გენიოსი გლინკის, ჩაიკოვსკის, დარგომიჟსკის, ბალაკირევის, რიმსკი-კორსაკოვის, ბარდინის, კიუის, რანმანინოვის, ამ რუსიის ბუმბერაზთა კლასიკურ სიმფონისტთა და უცხო კომპოზიტორ-მუსიკოსთა მამამთავრების; ბახის, გლიუკის, მოცარტის, სალიერის, ბეთხოვენის, ვაგნერის, ლისტის, გუნოს, ვერდის, ბოიტოს, სენ-სანსის; პუჩინის, მასკანის და უდიდეს მუსიკოსთა-ლირიკოს შოპენის და პადერევსკის შემდეგ, სიმფონიური მუსიკა აღარავის აკმაყოფილებს. ეს მსოფლიო კოლოსები თავისებურად სცხოვრობდნენ და თავისებური დალი დასვეს სიმფონიურ შემოქმედებას. ესენი იყვნენ დიდებული მამული-

შვილები თავისი კულტურული ქვეყნის, ამათ შექმნეს მთელი ეპოქა, თავისებურობისა. და მალალ ნიქიერ მოქალაქეთა სახელებში საპატიო ადგილი დაიჭირა და მადლიერი მათი თანამემამამულეები დიდის მადლობით იხსენიებენ მათ და არაფერს არ იშურებენ, რომ მათი მომხიბლავი მუსიკა მოისმინონ. ვაგნერს ბაირეტში თეატრი აუშენეს. ეს თეატრი საოცარი მოვლენაა. აშენებულთა უკანასკნელ ტენიკაზე. როცა ვაგნერს ასაფლავებდენ 3000 მუზიკანტმა შეასრულა მისი სამგლოვიარო მარში. ამათ ნაწარმოების საუკეთესო აღმსრულებლად ითვლებიან ღირიჟორები ადლერი, კვარტომენგო, კუტერავალასიონი, პიკოლო, ნიკიში და რუსეთის საზონავი. მე ამ ღირიჟორთა კრებულში მინახავს და გამიგონია ნიკიში. დიდებული რამ არის. როდესაც ის ასრულებდა ბეთხოვენის მე 9-რე სიმფონიას e-Molle, თმა ყალყზე დამიდგა, მისი კრეშენდო, პიანო-ფორტე — და პიანისიმო, ბეთხოვენის პარტიტურის საუკეთესო ინტერპრეტაცია იყო; სიმებიანი საკრავების პიჩიკატო ნამდვილი ღვთაებრივი ნაკადი იყო ნახტომებისა, ასე გეგონებოდათ თვალახვეული მალალ კიბეზე მივდივარო და ეს არის დავიმსხვრევიო. ის ადგილი, სადაც ვალტორნები პატეტიურ ეკტაზს გამოხატავენ, მასთან ერთად იღუმალი ქაგოტი ღრუტუნებს, კეთილხზოვანი ანგლისკი საყვირი კეკლ-უცად, მარა ტლანქათ ლეიტ-მოტივის გამოაკოპიტებს და, ამ ხმოვანთა შექმნილ აკკორდს, როგორც ძვირფასი პირბადე-ქსოვილი, თავს მოხვია ვიოლონჩელის ნაზი-გაკიდული და ჰაერში მფრინავი ძვირფასი ხმა, გეგონებოდათ ეს არის ობობამ თავის ძვირფას ქსელში დაიჭირა უმშვენიერესი არსება — ქალწული და გრძობა, რომ ის ობობა შენ ხარ და ეს ბედნიერება მხოლოდ შენ გეკუთვნისო. ბეთხოვენის ნიკიშისმიერ ინტერპრეტაცია, უდიდეს ხელოვნებას წარმოადგენს და ამ ხელოვნების გრძობა შეუძლია მხოლოდ არისტოკრატიული ჭკუის და გრძობის ადამიანს.

დიდი სიამოვნება განვიცადე ამ სიმფონიის მოსმენით და დიდი მადლობელი ვარ შემთხვევის, რომ ნიკიშმა ასეთი წუთები განმაცდევინ-მაგრძობინა. ბევრი ასეთი წუთები გამოვცადე ბაირეტში, მიუნხენში, რომში და პეტერბურგში. ევროპის მუსიკოსთა ნაწარმოებს ჩვენში ძალიან ცოტა იცნობს და შეიძლება ჩვენ რამოდენიმეს გვხვდა წილად დიდი კმაყოფილიც ვარ. სხვების არ ვიცი და მე კიდევ ვაპირებ წასვლას, რომ დავსტკბე ადლერის ან მეცავოჩეს ღირიჟორობით.

**მუსიკოსი ეშმაკი**

# ქართული სახიოგა

**ქუთაისი.** — ქალაქის მოღრაგის, ილია ჩიქოვანის მეოხეგბით აგებულ საარაჯიშვილის სახელობის სამხატვრო თეატრში, დღეს, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება ორიგინალიური დრაზა დრამატურგ ილია მანუჩარდიისა „**დიდი მოურავი სვიმეონ ქვარიანი**“.

**იქიდანვე.** — ქუთაისის საოპერო თეატრში ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება ახალგაზდა კომპოზიტორის კალისტრატე ჩიკვაიძის ახალი ოპერა: „**მიმინო მყვანდა მიყვარდა**“.


მიმინოს პარტიას შესრულებს ახალგაზდა ბარიტონი თავ. პრუწუნია კვანწიაძე. ხოლო მწყერის პარტიას დამსახურებული კონტრალტო ფუცუნია ცუნტრუკაძის ასული.

**იქიდანვე.** — ქუთაისის საზაფხულო თეატრში 12 აპრილისათვის დანიშნულია სალიტერატურო დილა — მონსტრი.

მონაწილეობას შიიღეენ: ახალგაზრდა მგოსანი შოთა რუსთაველი (წაიკთხავს თავის უკანასკნელ ლექსს, „ვადილა ვადილა, აბა ბიჭო თანდილა“) რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, მამია გურიელი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბესიკი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვანი.

დილა — მონსტრი იმართება ახალგაზრდა მგოსნის ვარდენ სევედიშვილის სასარგებლოთ განსაკუთრებული ზომეგბია მიღებული რომ მონაწილეთაგა ნარავან დააკლდეს და საზოგადოება მოტყუებული არ დარჩეს.

**ბათუმი.** — გლოვა გემართებს თუ სიხარული? ჩვენი ეროვნული სიამაყე, ბათუმის ქართული სადრამო თეატრი აღარა გვაქვს. მტრის ვერაგულმა ყუმბარამ ტრალიკულათ შეუნგრაი მკერდი ჩვენი ხელოვნების ტაძარს. აუნახლაურებელ დანაკლისს გვიმსუბუქებს ის სასიხარულო გარემოება, რომ მსახიოზნი ამ დროს შემთხვევით ღვინის სარდაფში იყვენ რეპეტაციისათვის და დაღუპვას გადარჩენ.



სიხარული და სიამაყე

# სათეატრო კურიოზეგბი

ერთხელ პიესაში „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“ სხვათა შორის თამაშობდა ნ. გაბუნია-ცაგარლისა. ყაზახ ნიკოლა (ნ. გოცირიძე) შემოდის ორთაქალიდან ნაჭიფარი და ტახტზე ნ. გაბუნისა გვერდით ჯდება; ტახტი ვერ გამოდგა მაგარი, ჩატყდა ორივენი შიგ ჩაცვივდენ და ლამის შიგ გაიქედენ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, როგორც იყო პიესა დათავდა. იგივე პიესა მეორეთ გაიმეორეს. რასაკვირელია ტახტი მაგარი იშოვეს, რომ მარცხი არ მოსვლოდათ.

მეორეთ უკეთესათ ჩაიარა, გათავდა წარმოდგენა, ხალხმა დიდი პროტესტი გამოაცხადა, იმდღეს კარგათ ითამაშეს, ესლა კი გროში არ ღირდაო.

რკინის გზის თეატრში (1903 წ.) თამაშობდენ „პარიზელ ბიჭს“. როდესაც ელზა მიხედება, ამ დეი მატყუებსო, მხატვარი კი არა, გრაფის ჩამომავალია და მე არ შემირთავსო, უნდა სცენაზე იტიროს; სცენის მოყვარე ქალს ტირილი არ ეჩრებოდა და რეჟისორმა ასწავლა: აიღეთ ხელსახოცი, მიიფარეთ მაყურებლებისაკენ თვალგზედ და თავი იქნით, ვითამ ტირითო. მართლაც ეგრე მოიქცა წარმოდგენის დამეს, მხოლოდ საუბედურთ პატარა შეცდომა მოუვიდა: ხელსახოცი მიიფარა პარტნიორის მხარეს, პუბლიკის კენ კი ცინოდა, თან ენაც გამოეყრა (ვითამ, ნახეთ ხალხს როგორ ვატყუებო).

ქართულ თეატრში თამაშობდენ რომელღაც დრამას. შემდეგ უნდა ეთამაშნათ ვოდვეილი „ორი მშვიერი“. დ. აწყურელმა აღრევე ჩაიციო მშვიერის ტანისამოსი, გაიკეთა გრიმი და გავიდა სცენის ქვეშ: უნდოდა სუფლიორიო კარავში შესულიყო და დრამისათვის ეცქირნა. დანიახეს სცენის მემუშავეგბმა (დეკორატორგბმა), რომ ვიდაც „ბოსიკი“ ჩადის ქვევით სცენის ქვეშ, ჩაჰყვენ ჩუმათ, მიგპარნენ და ის იყო უნდა კარებში ასულიყო, სწედენ ფეხში, ჩამოათრიეს და მუშტით გაუმასხ ლძიფნ. გაიშართა დიდი ჩხუბი, მუშები თავს არ ანებებდენ. გააგეს მალლა მსახიობგბმა ჩამოირბინეს და ძლივ გააშველეს.

როცა კითხეს, კაცო რატომ ამ უთხარი ვინც იყავიო, დ. აწყურელმა უპასუჯა: ისე მოულოდელი იყო, რომ ვერ მამაგონდა რომ ჩემი გვარი მეთქვაო. რასაკვირელია მუშგბმა დიდი ბოდიში მოიხადეს.

ქართულ თეატრში ერთ ხანათ „სტატისტგბათ“ სალდათეგი მოყავდათ ხოლმე. თამაშობდენ „კონსტანტინე ბატონიშვილს“. პირველ მოქმედებაში ხალხი ყვირის: — სცოცხლობდეს ქეთევან დედოფალი. რუსის სალდათებს შესწავლეს 10 კაცს „სცოცხლობდეს“, 10 კაცს „ქეთევან“ და დანარჩენ 10 კაცს „დედოფალი“. მართლაცა გვარიანათ გამოდიოდა. წარმოდგენა გათავდა. მეორეთ ითამაშეს „ურთელ აკოსტა“, სტატისტგბი ისევ ის სალდათები მოიყვანეს, როგორც უკვე გამოცდილები. როდესაც ურიელი (ლ. მესხიშვილი) სინაგოკაში შევარდება და დაიყვირებს: „მაინც ბრუნავს“ო და მტვრევას დაუწყებს იქაუოზას, სტატისტგბი უნდა გამიენმაურონ, ამიტომ მესხიშვილმა ჩუმათ დაუძახა: — кричите, — სალდათებს მოაგონდათ ნასწავლი სიტყვგბი და დაიძახეს: † „სცოცხლობდეს ქეთევან დედოფალი“ო.

პ ი რ ვ ე ლ მ ა რ ტ ი დ ა ნ

ქალაქ თბილისში

გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

# ახალი მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თავყუნა,  
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია და გ. მ. მახარაძე.

თანამშრომლები — ალბურონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თავუნა, კენტი, კვინწარი, კოლო,  
მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიძე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე შ.,  
შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი — 12 თვით 5 მ. † 6 თვით 3 მ. † 3 თვით 1 მ. 50 კ. † 1 თვით 50 კ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,  
არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.


რედქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ  
ამ ადრესით:

Тифлисъ. \*)  
Контора „Гантиади“.  
Почтов. ящ. № 21.  
Михайловск. пр. № 18.  
(ახალი მათრახისათვის).



\*) ეს ადგილი აღნიშნავს მარკისათვის არის დანიშნული და გულმეფიწყებ მოვავონებთ, რომ  
უმატკო წერილს რედაქცია არ დაიხსნის.

## გაუფრთხილთ ხელეზს



კაპელდინერი. ეგ ფირფიტები რათ გინდა ხელზე?

მოწაფე. მაშა?!

კაპელდინერი — რათ გინდა ფიცრები? მეთქი!

მოწაფე მაშ ტაში როგორ დაფუკრა?

რედაქტორ-გამომცემელი—ნ. დ. ულენტიას.